

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საკავშირო საბჭოს ორგანო
Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзной

№ 28 (411) პარაკმედი, 9 ივნისი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

გამოღობი სარბან ბილიკაზა, სსსრ-ში ორგანიზაციის...

გამოღობი სარბან ბილიკაზა, სსსრ-ში ორგანიზაციის... მისი მუშაობის შედეგად...

უმეტეს შემთხვევაში შესრულებულია მძლეოსნობის ყველაზე მარტივი სახეობები...

მძლეოსნობა საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, სპორტის სახელმწიფო...

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრელად აქედანვე უნდა მივიღოთ საჭირო ზომები...



საქართველოს მძლეოსნებმა 1949 წელს რესპუბლიკის რეკორდების ცხრილში შეიტანეს 65 წესდარღობა...

უნდა უზრუნველყოთ თანრიგოსანთა მომზადების დაგეგმვა ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციაში...

მსოფლიო ჩემპიონი რეგინალდო

მსოფლიო ჩემპიონი რეგინალდო... მისი მუშაობის შედეგად...

ამანატორებში 3x800 მ. — 6:53,8 აღიარებულია მსოფლიო რეკორდი...



ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მძლეოსნები, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ე. გოკიელი (მარჯვენა) და ნ. ნოზლინი (მარცხენა).

10 ქილომეტრი გაპილია 44 წუთსა და 24 წამში

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა სპორტულ სიახლეში, ახალგაზრდა ბრუნო იუნგა (ტალინი) ამასწინათ 21,8 წუთით გააუმჯობესა რიგელი პ. ზელტინის საკავშირო რეკორდი 10 ქილომეტრის დისტანციაზე...

პროლეტარული სპორტი

ბათუმი. (ჩვენი სპ. კორ.) ლ. პ. ბერას სახელობის პიონერთა პარკში ჩატარდა შეჯიბრება ქალქის პირველობაზე საშუალო და გრძელ დისტანციებზე რბენაში...

გოგონების პიკნიკი

ჩატარდა მძლეოსნთა შეჯიბრება ქ. ბორჯომის პირველობაზე. რბენაში 100 მეტრზე გაეთა შორის გაიმარჯვა მეთექვსმეტე კლასის მოსწავლემ ა. გელაშვილმა...

სპორტსმენი ირეკარ გამოგონებელი უნდა იყოს

აფხაზეთში სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელი მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების შედეგად უფრო შინაარსიანი გახდა ავტონომიური რესპუბლიკის ფიზკულტურული ცხოვრება...

საჩუქრით ჩაუბარეთ მძლეოსნთა დახმარებით შეჯიბრება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურის კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა გადაწყვიტა მოაწიოს ქალაქთა მეორე დაუსრულებელი მატჩი მძლეოსნობაში...

ქალაქებსა და რაიონებს, რომლებიც წინასწარ სიგნალი არ აძიან გათვალისწინებული, შეუძლიათ დაუსრულებელ შეჯიბრებაში მონაწილეობა...

ამაქაცა და ქაბუჯა დაუსრულებელი მატჩის პროგრამაში — პირველ ტურში: რბენა 100, 200, 800 და 5.000 მეტრზე...

ლუზე გამოარბენით, ბადროს ტყორცა და ბირთვის კვრა; მეორე ტურში: რბენა 100, 200 და 800 მეტრზე...

მძლეოსნური მატჩისათვის მზადება დაწყებულია. საქართველოს ფიზკულტურულ ფართო მასების გაცნობა შეჯიბრების დეტალებთან...

მძლეოსნთა დაუსრულებელი შეჯიბრების მომზადებასა და ჩატარებაში ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტებს აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ...

საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი მძლეოსნობაში

აღზრდის ფიზკულტურის კომიტეტის სასწავლო-სპორტული განყოფილების უფროსი.

აღმოსავლეთით ჩამოკრანა ნიჰნოსანთა მომზადებაში

ჯუთი ნიჰნოსანთა მომზადების წლიური გეგმის შესრულება 1950 წლის I ივნისისათვის

რაიონები	მშტ I საფ. პროცენტები	მშტ II საფ. პროცენტები	იმშტ პროცენტები	რაიონები	მშტ I საფ. პროცენტები	მშტ II საფ. პროცენტები	იმშტ პროცენტები
ახმეტა	45,5	0	60,9	სიღნაღი	74,1	37,2	84,7
აბაშა	40,5	33,3	76,6	ტყიბული	39,1	24,5	61,5
ადიგენი	47,5	0	61,8	ჭარხალი	43,1	50,0	77,0
ამბროლაური	51,8	94,7	57,3	ქვემო სვანეთი	14,5	0	47,7
ასპინძა	65,4	0	20,0	ქუთაისი	36,2	58,0	87,7
ახალქალაქი	29,0	50,0	52,4	ყაზბეგი	27,6	50,0	53,8
ახალციხე	21,3	0	70,0	ყვარელი	35,7	0	52,5
ბოგდანოვკა	27,6	0	48,0	ჩოხატაური	70,0	23,0	96,3
ბორჯომი	37,2	12,4	127,0	ჩხარა	40,3	0	0
ბოლნისი	87,5	82,3	90,0	ჩხოროწყუ	84,0	0	192,3
გეგეჭკორი	51,3	0	78,5	ცაგერე	43,2	16,1	100,7
გორი	30,4	0	55,0	ცხაკაია	46,0	58,3	75,5
გურჯაანი	31,9	17,0	63,7	წალენჯიხა	62,2	55,5	94,8
გარდაბანი	64,6	0	109,6	წალკა	16,2	0	18,3
ღუშეთი	54,6	60,0	91,2	წითელწყარო	46,8	33,3	93,0
ღმინისი	75,0	0	67,3	წყალუკიძე	47,8	0	94,8
ვანი	57,0	31,0	78,0	წყალტუბო	50,4	0	51,3
ზემო-სვანეთი	63,3	0	75,0	ჭიათურა	47,5	0	70,3
ზეგაფონი	30,0	10,0	71,5	ხაშური	32,3	0	97,5
ზუგდიდი	15,8	0	34,3	ხობი	27,7	0	93,2
თეთრი წყარო	70,0	65,0	145,0	იფხაზეთის ასსრ	27,5	11,0	102,8
თელავი	43,3	0	55,0	აჭარის ასსრ	30,4	16,7	78,0
თიანეთი*)	—	—	—	სამხრეთ ოსეთის ა. ო.	75,0	14,3	72,4
ქალუბორი	88,0	90,0	160,0	ქ. თბილისი	30,0	17,0	52,3
ქასპი	35,9	66,0	58,3	ქ. ქუთაისი	39,0	48,0	63,0
კაჭრეთი	43,3	0	12,0	ქ. ფოთი	57,1	42,0	62,2
ლაგოდეხი	63,7	116,6	124,0	ქ. რუსთავი	56,0	10,0	178,0
ლანჩხუთი	26,2	0	71,0	ქ. ჭიათურა	40,0	5,8	53,8
მხარაბე	32,3	29,0	90,0	ქ. გორი	41,1	0	55,0
მაიაკოვსკი	50,6	53,0	57,0				
მცხეთა	21,5	0	91,2				
მატნეული	46,0	100,0	193,6				
ონი	50,0	56,4	87,2				
ორჯონიკიძე	35,7	0	61,2				
საგარეჯო	42,8	30,0	69,0				
სამტრედია	53,0	12,0	68,0				
საჩხერე	37,7	45,4	52,0				
				სულ	38,5	19,6	73,4

*) თიანეთის რაიონს ცნობები არ წარმოუდგენია.


მხარე ოსავაზობის ნიჰნის ქვეშ

სარატოვი. (ჩვენი სუც. კორ.)
ჩატარებულმა საქვემოთ პირველ-ბამ კლასიკურ ჭიდაობაში ახალგაზრდა სპორტსმენთა მხარე ოსტა-ტობა გამოამყვანა. ახალგაზრდა მოჭიდავეებმა უფროსი თაობის წარმომადგენლებთან სასტიკი ასპარეზობებში 8 წონითი კატეგორიიდან ოთხში პირველი ადგილები დასაკუთრეს.

სსრ კავშირის 1950 წლის ჩემპიონები გახდნენ (დაწყებული უმჩატესი წონიდან): ბ. გურგენი (მოსკოვი), ა. ტერაიანი (კირიზი), ი. პუტინი (ზაპოროჟი), გ. შატეროვი (დონის როსტოვი), ს. მარტინი, ნ. ბელოვი, შ. ჩახლაძე (სამივე მოსკოვიდან) და ი. კოტკასი (ტალინი).

ი. კოტკასმა ფინალში ბეჭებზე დასცა ძლიერი მოწინააღმდეგე მახუარი.

ტურნირში ჭიდაობის მაღალი კლასი გეჩვენა ახალგაზრდა ქართველმა მოჭიდავემ გ. კარტოვიამ (საშუალო წონა), რომელმაც ხუთი შერკინება სუფთად მოიგო.



სოხუმის წყალგომარდობის სადგურის საცურაო ბილიკებზე ჭაბუკები და გოგონები ხისტემატურად ახარებენ მშტ კომპლექსის ნორმებს. **სურათში:** ვუბების ერთ-ერთი გაცურვა ნორმატივების ჩაბარების დროს. ფოტო გ. კვიციანი.

დაუპარსხაბარ პირველი პეტიცია

ქ. ხარკოვში გათამაშდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ბოლშევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველი კრივი. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის და ლენინგრადის, უკრაინის, ბელარუსის, საქართველოს, აზერბაიჯანის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებმა.

დიდი წარმატება მოიპოვა საქართველოს მოკრივეთა კოლექტივმა, რომელმაც დაუმარცხებლად ჩაატარა შეჯიბრება და ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა.

პირად ტურნირში საქართველოს მოკრივეთა შორის თავი ისახელა ი. ხატიაშვილმა (უმჩატესი წონა), რომელმაც „ბოლშევიკის“ ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

კალოსანთა კონკურსი


ქ. ხარკოვში დამთავრდა სოფლის ძალოსანთა საქვემოთ კონკურსის ფინალური შეხვედრები. გუნდური პირველობა მოიპოვა რუსეთის ფედერაციის ძალოსანთა კოლექტივმა.

საინფორმაციო გამოცემა

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „უროვის“ პირველ საქვემოთ კონფერენციას, რომელიც მოსკოვში, კავშირების სახლში ჩატარდა, წარმოდგენილი იყო ფორტ-გამოფენა, რომელიც ასახავდა დიდი ჯიხანის ლ. პ. ბერიაის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კოლექტივის სასწავლო და სპორტულ მიღწევებს.

გამოფენამ კონფერენციის დღე-ღამე და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქვემოთ კომიტეტის წარმომადგენელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. იმასთან დაკავშირებით, რომ ტექნიკუმის ბავშვები გუნდი მონაწილეობენ.

ა. კოვლოვი,
სპორტსაზოგადოება „უროვის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.



ფიზიკური კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს ტანვარჯიში. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოჭიდავეები და ჭაბუკი, მამაკაცი და ქალი ყოველდღიურად შეცადინებენ ამ წარმატებულ სახეში. საბჭოთა კავშირში დიდად არის გავრცელებული დილის ტანვარჯიში, კერძოდ, ტანვარჯიში, რომელსაც რადიოთი გადასცემენ.

ტანვარჯიშის ასეთი პოპულარობა იმით აიხსნება, რომ იგი ხასარგებლო და მისაწვდომია ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანსათვის.

პირველი ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, ხელები ტანის წინ, თითები გადახლართული.

თელზე — 1,2 გადადგით მარცხენა ფეხი ვაშლი, ერთდროულად ასწიეთ გამართული ხელები ზევით, აიწიეთ ფეხის ცერებზე და ჩაისუნთქეთ. თელზე — 3,4 დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ, გაიშორეთ იგივე მეორე ფეხით.

მეორე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, ხელები ტანის წინ, თითები გადახლართული.

თელზე — 1,2 ტანი გადახარეთ მარცხნივ და ვაშლით მარცხენა ხელი, ჩაისუნთქეთ. თელზე — 3,4 დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

მესამე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, ხელები ტანის წინ, თითები გადახლართული.

თელზე — 1,2 მოღუნეთ ხელები იდაყვებში, მკერდით ოდნავ შეეხეთ მაგიდას და ჩაისუნთქეთ. თელზე — 3,4 გამართეთ ხელები და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

მეხუთე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, ხელები ტანის წინ, თითები გადახლართული.

თელზე — 1,2 მოღუნეთ ხელები იდაყვებში, მკერდით ოდნავ შეეხეთ მაგიდას და ჩაისუნთქეთ. თელზე — 3,4 გამართეთ ხელები და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

მეექვსე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, ხელები ტანის წინ, თითები გადახლართული.

თელზე — 1,2 მოღუნეთ ხელები იდაყვებში, მკერდით ოდნავ შეეხეთ მაგიდას და ჩაისუნთქეთ. თელზე — 3,4 გამართეთ ხელები და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

მეშვიდე ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, ხელები ტანის წინ, თითები გადახლართული.

თელზე — 1,2 მოღუნეთ ხელები იდაყვებში, მკერდით ოდნავ შეეხეთ მაგიდას და ჩაისუნთქეთ. თელზე — 3,4 გამართეთ ხელები და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

ასპარეზობა განვარჯიხულ მკავადჭირში

დღეს ხარკოვში იწყება ტანვარჯიშით საქვემოთ შეჯიბრება მრავალქილში.


ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ტანვარჯიშის სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. თაყაიშვილი, ა. ჯორჯაძე და რ. ზაალიშვილი, სპორტის ოსტატები: მ. ჯუღელი, ც. მაქარაშვილი, ი. ციხითაიანი, ე. გაგოშიძე, ვ. ჯაიანი და პირველთაირიგოსანი რ. შარაბიძე.

„სპორტითი რეკონსტრუქციის“ მოკრძევა მობილს „სსრკ თასი“

მოსკოვი. (ჩვენი კორ.) ამას წინათ წითელი არმიის ცენტრალური სახლში ჩატარდა საფინანსო შეხვედრები „სსრ კავშირის თასზე“ კრივიში. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა გუნდებმა — წითელი არმიის ცენტრალური სახლისა და სპორტსა-

ზოგადოება „სპორტითი რეკონსტრუქციის“ (მოსკოვი) მოკრივეებმა. ფინალური მატჩი მწვავე ბრძოლით აღინიშნა. „სპორტითი რეკონსტრუქციის“ მოკრივეებმა 8 შეხვედრიდან 5 მოიგეს და მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 13:11.

გამარჯვებულებს გადაეცათ „სსრკ თასი“.



ფეხბურთის მოედნებზე



სსრ კავშირის XII ჩემპიონატი

გათამაშების სხრილი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 9 ივნისისათვის

ქირითაღი შემაჯავებლობები	თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.
„ზენიტი“	11	8	2	1	30:13
„სპარტაკი“ მ.	12	7	4	1	10:7
„დინამო“ თბ.	12	6	4	2	25:9
„ლოკომ“ მ.	10	5	5	0	16:6
„დინამო“ მ.	12	6	3	3	24:13
„დინამო“ ერ.	12	5	4	3	17:20
„დინამო“ მ.	12	5	3	4	20:17
„დაუგავა“	12	5	2	5	17:14
„დინამო“ ლ.	12	4	4	13	11:12
„ლოკომ“ ს.	10	5	1	4	19:15
„დინამო“ მფ.	11	4	2	5	14:15
„შახტიორი“	12	4	1	7	10:17
„დინამო“ კ.	13	4	1	8	21:27
„სპარტაკი“ თბ.	11	3	2	6	11:15
„ტორპედო“ სტ.	11	2	4	5	10:14
„ტორპედო“ მ.	11	4	0	7	10:18
„ნეფტჩანიკი“	12	2	4	6	12:25
„დინამო“ მ.	12	2	4	6	10:22
„ნეფტჩანიკი“	12	3	2	7	8:19

ღვალითა შეხვედრები

„ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კლუბების დუბლშემადგენლობათა ტურნირში 11 ტურის შემდეგ წინააღიდან მოსკოვის სპარტაკელნი, რომელთაც მოგროვილი აქვთ 20 ქულა. მათ 3 ქულით ჩამორჩება მოსკოვის „დინამო“. მესამე ადგილზეა მიწის „დინამო“.

თბილისის „დინამოს“ დუბლიორებს 13 შეხვედრიდან აქვთ 15 ქულა (7 გოლი, 1 ფრე და 5 წაგება). თბილისის სპარტაკელებს 12 ქულით ტურნირის ცხრილში მეცხრე ადგილი უკავიათ.

ბოლოშია ხარკოვის „ლოკომოტივი“.

მატჩები ივნისში

- 9. „დინამო“ (თბ.) — „დინამო“ (კ.).
- 10. „სპარტაკი“ (თბ.) — „შახტიორი“.
- 11. „ზენიტი“ — „ტორპედო“ (სტ.).
- „ნეფტჩანიკი“ — „ტორპედო“ (მ.).
- 12. „სპარტაკი“ (მ.) — ცდკა, „დაუგავა“.
- „კრ. სოვეტოვი“.
- 13. „დინამო“ (თბ.) — „შახტიორი“.
- „ლოკომოტივი“ (მ.) — „დინამო“ (მფ.).
- „დინამო“ (ერ.) — „დინამო“ (კ.).
- 14. „დინამო“ (ლ.) — „ტორპედო“ (სტ.).
- „ლოკომოტივი“ (ბ.) — ვეს, „სპარტაკი“ (თბ.).
- „დინამო“ (მ.).
- 15. „ზენიტი“ — „კრ. სოვეტოვი“.
- 18. „შახტიორი“ — „სპარტაკი“ (მ.).
- „დინამო“ (ერ.) — „ნეფტჩანიკი“.
- „ლოკომოტივი“ (ბ.) — „დინამო“ (კ.).
- „დაუგავა“ — ვეს, „ტორპედო“ (მ.).
- „ტორპედო“ (სტ.).
- „სპარტაკი“ (თბ.) — „დინამო“ (თბ.).
- „ლოკომოტივი“ (მ.) — „ზენიტი“.
- „დინამო“ (ლ.) — ცდკა.
- 19. „დინამო“ (მ.) — „დინამო“ (მფ.).
- 21. „ნეფტჩანიკი“ — „დინამო“ (თბ.).
- 22. „დინამო“ (კ.) — „შახტიორი“.
- „სპარტაკი“ (თბ.) — „დინამო“ (ერ.).
- „ლოკომოტივი“ (ბ.) — „სპარტაკი“ (მ.).
- ცდკა — ვეს, „კრ. სოვეტოვი“.
- „ტორპედო“ (მ.).
- 23. „ზენიტი“ — „დაუგავა“.
- „დინამო“ (მფ.) — „დინამო“ (ლ.).
- „ლოკომოტივი“ (მ.) — „დინამო“ (მ.).
- 25. ცდკა — „დინამო“ (თბ.).
- „დინამო“ (ლ.) — „სპარტაკი“ (თბ.).
- 26. „ლოკომოტივი“ (მ.) — ვეს, „ტორპედო“ (მ.).
- „ლოკომოტივი“ (ბ.).
- 27. „დინამო“ (მფ.) — „სპარტაკი“ (მ.).
- „ტორპედო“ (სტ.) — „დინამო“ (მ.).
- „დაუგავა“ — „დინამო“ (ერ.).
- 28. „შახტიორი“ — „ზენიტი“.
- 30. „დინამო“ (კ.) — „კრ. სოვეტოვი“.
- „დაუგავა“ — „ნეფტჩანიკი“.
- „ტორპედო“ (მ.) — ვეს, „ტორპედო“ (სტ.).
- „ლოკომოტივი“ (ბ.).
- „დინამო“ (ლ.) — „დინამო“ (ერ.).

ხუთი ბურთი მოსკოველთა ბაღეში

თბილისის დინამოელები მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შემდეგი შედეგით გამოვიდნენ: მარადია; ელო-შვილი, ძიანაძე, რუსაძე; პანუკოვი, გარიშვილი; ჯოჯუა, მახარაძე, ვარდიანი, დოლობერიძე, თორია. სტუმრების რიგებში იყვნენ: გრაჩოვი; ანტონივიჩი, ზაბელინი, ოსიპოვი; ლიანინი, ლახონი; პანფილოვი, ლაგუტინი, პეტროვი, ბოლოტოვი, პიროგოვი.

ლოკომოტივი მსაჯის ზაბლოკოვის სასტუმროს ხმა და პეტროვის ბურთი თამაში შეწყვიტა. მატჩი იწყება სწრაფი ტემპით, ტრადიციული დახვედრის გარეშე... თბილისელები უხვად ატარებენ კომბინაციებს და უშუალოდ მოწინააღმდეგის კართან ბურთის მიტანას ცდილობენ; რკინიგზელ ფეხბურთელებს პირაქით, ორი, მაქსიმუმ სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ გარდევების მოსახდენად ბურთი ძლიერი გარტყმებით ფლანგებზე გადააქვთ, ან შორი მანძილიდან ურტყამენ კარში.

საუკეთესოდ მოქმედებს ორივე გუნდის დაცვა. აქ ხაზი გვინდა გვეხსენებოდა რუსი თამაშის, რომელიც პირველად ამოუღდა მხარში ისეთ ძლიერ ოსტატებს, როგორც არიან ძიანაძე, პანუკოვი და სხვები. რუსიების დინამო, ტექნიკურად და ტაქტიკურად სავსებით გამართული მოქმედება (ოგი მეტად ვენერგიულსა და ტექნიკურ პანფილოვს „აკავებდა“) იმის საწინდარია, რომ ეს ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი დარსულად გაამართლებს გუნდის იმედებს.

29-ე წუთითა. პანფილოვი შედის მარცხენა შუამარბის სექტორში და პანუკოვთან ერთად ბოლოში მოულოდნელი დარტყმით ხსნის ანგარიშს.

თამაში იწყება ცენტრიდან... დოლობერიძე, ვარდიანი და პანუკოვი რამდენიმე შესანიშნავ კომბინაციას წამოიწყებენ და ბურთი სტუმართა საჯარო მოედანზე, სადაც გრაჩოვი სხარტი ნახტომებით ეუფლებოდა მას. მაგრამ ტაიმის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე თბილისელთა ლამაზი კომბინაციით (დოლობერიძე-ჯოჯუა-თორია) ანგარიში გათანაბრდა.

შესვენების შემდეგ მახარაძის ადგილს ანთაძე იკავებს. ვენერგიული, შემტევი სტილის ფეხბურთელის გამოხსლას დიდი სიხარულით შეაქვს თბილისელ თავდასხმელთა თამაში, იერიშები უფრო გამოხსული და სახიფათო ხდება.


მე-5 წუთზე დოლობერიძე იღებს ბურთს ვარდიანიდან, შეუჩერებლად ვადის მარცხენა ფრთიდან, კარგი ფინტით „თავიდან იცილებს“ ანტონივიჩს და ბურთს კარის გასწვრივ აწოდებს. აქვეა ანთაძე და ბურთი ბაღეში ეხვევა.

მატჩი მეტად მწვავედ მიმდინარეობს. სტუმრები სასტიკ იერიშზე გადადიან. მე-7 წუთზე ლაგუტინი შორი მანძილიდან საშინელო სიძლიერით ურტყამს ბურთს, რომელიც კარის ძელს ხვედება და უკან ბრუნდება. მას უსწრებს ბოლოტოვი და თავური გარტყმით ბურთს კუთხეში გზავნის. მარადიანს ბრწყინვალე ნახტომი და ბურთი ადებულობა.

31-ე წუთზე ვარდიანის გაქვს მესამე ბურთი (იგი კარგად გაიყვანა გარდევანზე ჯოჯუამ). მეოთხე და მეხუთე ბურთი თბილისელებმა ანალოგიური კომბინაციით გაიტანეს: გარდევანა მარცხენა მხრიდან, მოწოდება კარის გასწვრივ და გოლი (ანთაძე, დოლობერიძე).

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი ანგარიშისა (5:1), მოსკოვის „ლოკომოტივი“ ძლიერად თამაშობდა და მისი დამარცხება უმთავრესად დაცვის მარჯვენა ფლანგის მოშლამ გამოიწვია.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა კ. კრიმკიმ მატჩის მსვლელობისას გადაიღო თბილისელთა მიერ გატანილი ყველა 5 გოლი, რომლებიც აღბეჭდილია სურათზე (მარჯვნივ) თანმიმდევრულად.



დაძაბული ბრძოლა

სამი დღე თითქმის განუწყვეტელი წვიმა... მხოლოდ მატჩის წინ გამოიღარა. მოედნის ყამირი წყლით იყო გაუფრთხილები, რამაც ძალზე გააძნელებს თამაშს. მიუხედავად ამისა შეხვედრა მეტად მწვავე და საინტერესო ბრძოლით აღინიშნა.

თბილისის „სპარტაკის“ თავდასხმა ამჯერად გვირგვინს ატარებდა, სწრაფი და მოქნილი თამაში, გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე წინა მატჩებში. ამ დღეს მე-8 ნომრით მათ რიგებში გამოვიდა ბერეგოვი, რომელიც თბილისის გადაცემებით და გასვლებით ბევრი სახიფათო მომენტი შექმნა კიევის „დინამოს“ საჯარო მოედანზე.

მატჩის პირველ წუთებში სპარტაკელებმა ძლიერი იერიშები განახორციელეს. დაახლოებით მე-15 წუთიდან კიეველები ათანაბრებენ თამაშს, რომელიც მეტად სწრაფი ტემპით სწარმოებენ.

მე-20 წუთზე სტუმრების საჯარო მოედანზე ბერეგოვი შესანიშნავად დაამუშავა ბურთი და იგი ზუსტი დარტყმით ბაღეში გახვია.

გოლმა კიდევ უფრო გააცხოველა კიეველთა თამაში. 7 წუთის შემდეგ კიეველმა (№ 8) კარგად გამოიყენა თბილისელთა დაცვის უხეში შეცდომა (მათ ძალზე დაუდევრად „დამართეს კედელი“ საჯარო მოედანის მის დროს) და 20 მეტრის მანძილიდან საპასუხო ბურთი გაიტანა.

ასე, ანგარიშით 1:1, წაედინენ გუნდები დასვენებლად.

მეორე ტაიმი ისევე დაიწყო, როგორც პირველი: თბილისელები იერიშზე გადავიდნენ. „სპარტაკის“ თავდასხმა, რომელსაც კარგად ეხმარება ნახევარდაცვა, ხშირად არღვევს მოწინააღმდეგის დაცვის ზღუდლებს. კიეველთა საჯარო მოედანზე ზედიზედ იქმნება სახიფათო მომენტები, მაგრამ უშედეგოდ.

მე-20 წუთზე პაიკი სწრაფად ვადის მარცხენა ფლანგიდან, შესანიშნავად აწოდებს ბურთს კარის გასწვრივ და კ. გავნიძე ახლო მანძილიდან ზრდის ანგარიშს—2:1.

კიეველები რატომღაც დაწყვიტეს კომპლენსი ცვლიან, რასაც მათთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ანგარიშით 2:1 გამარჯვდა „სპარტაკმა“.

დუბლშემადგენლობათა მატჩიც თბილისელთა სასარგებლოდ დამთავრდა—3:1.

კუთხური გარეცხვა

მის ეფექტურობის საგარძობი შემცირება.

ჯერ ვრთი: თანამედროვე ფეხბურთში მცველები გაცილებით გახარბულად და ტაქტიკურად სწორად თამაშობენ, ვიდრე უწინ. ახლა ისინი უკეთ „კუთხულობენ“ მოწინააღმდეგის ჩანაფიქრს, ყოველი მომენტისათვის თავდასხმის შესაძლებელი კომბინაცია დეტალურად აქვთ დამუშავებული, მკაცრ კონტროლს უწევენ თავდასხმელთა ყოველ გადაადგილებას საჯარო მოედანზე და მცველთა შორის ურთიერთდაზღვევაც ზუსტად არის დამუშავებული.

მეორე არასოდეს თავდასხმელი ისეთი თავგანწირვით არ იბრძვის კართან, როგორც დამცველი, რადგან მისთვის (თავდასხმელისათვის) ეს მომენტი იმდენად საპასუხისმგებლოა, ვიდრე მცველი არაა გარდა ამისა, მას გარკვეული სიხუსტე სჭირდება კარში დარტყმისათვის მამინ, როდესაც მცველი ხშირად ბურთის მხოლოდ სახიფათო ზონიდან მოცილებით არის დაინტერესებული.

მესამე: სულ რამდენიმე წელია, რაც ჩვენმა მეკარეებმა თავიანთი ტექნიკის არსენალი გაამდიდრეს ახალი იარაღით—მუშტით თამაშით. მეკარეები მაღალ ბურთებს ახლა იშვიათად იღებენ ხელში და მის მკერდამდე დაშვებას არ უცდიან (ნახტოვი, აიშოვი, ნიკანორი). სწორად და ძლიერად დარტყმული მუშტით

ლიც გარმაგებული გარემარბის სახით გარკვეულ საფრთხეში აგდებს კარს. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემტევი გუნდის თავდასხმისა და ნახევარდაცვის კონტაქტს და ადგილის შეჩერებას.

ზოგიერთი გუნდი კუთხური მიწოდებისას იყენებს მოწინააღმდეგის საჯარო მოედანში ცენტრალური დამცველის შეყვანის ხერხს. თუ ეს კომბინაცია მოულოდნელად განხორციელდა, მას შეიძლება სათანადო შედეგიც მოჰყვეს. ამის მაგალითები პრაქტიკაში გვხვდება (ლიასკოვსკი, ძიანაძე, ლერმანი, კოჩერკოვი).

დაბოლოს, აუცილებელია საჭიროება წარმოადგინოს კუთხური გარტყმის შედეგად გოლის გამოტანი „სპეციალისტებს“ შეჩერება და წართნა. ასეთ ოსტატებს წარსულში თითქმის ყოველი პირველი ჯგუფის გუნდს ჰყავდა (პელოვი, ბერეგოვი, სემიონოვი, შილოვსკი, სინიაკოვი, ვ. ვედროლოვი და სხვ.). ამჟამად ოსტატთა გუნდში იშვიათად ვხვდებით ასეთ „სპეციალისტებს“ და არც წარმოებს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა ამ მიმართულებით.

მწვრთნელმა მაქსიმალური სიხუსტით უნდა დაამუშაოს კუთხური გარტყმის შედეგად შექმნილი ყოველი მომენტი. ყოველ გუნდს უნდა ჰქონდეს დეტალურად დამუშავებული რამდენიმე ვარიანტი კუთხური გარტყმისა და ანხორციელებდეს მას მომენტისა და მდგომარეობის შესაბამისად.

ბ. კორძია

ნაბაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების რესპუბლიკური კონფერენციები

„ტ რ უ ე ი“

თბილისში ჩატარდა საქართველოს ნაბაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ტრუდის“ II რესპუბლიკური კონფერენცია. საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ზ. მასლანოვმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ სპორტულ საზოგადოებას მასობრივი ფორმით უნდა შეესაბამებოდეს კადრებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობის დარგში გარკვეული მიღწევები აქვს მოპოვებული.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ როგორც რესპუბლიკური, ისე საქალაქო და რაიონული საბჭოები კონტროლს და დახმარებას არ უწყვიტონ კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის და სხვა დაწესებულებების კოლექტივებში გაერთიანებულ წევრებს, ნაკლებად ზრუნავენ ფიზკულტურულ მოძრაობაში ხალხი წევრების ჩასაბმელად.

საზოგადოების კოლექტივთა შორის არ არის გამოვლილი სოციალისტური შევიძრება.

რესპუბლიკური საბჭოში ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა 25 კაცი, სარევიზო კომისიაში — 3 კაცი. „ტრუდის“ საკავშირო კონფერენციაზე დელეგატებად აირჩიეს 8 კაცი.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში გავიდნენ შემდეგი ამხანაგები: ზ. მასლანოვა (თავმჯდომარე), გ. ლიპინი (პირველი), ს. გელაშვილი, ს. არუთიანი, ა. ბოჭიაძე, გ. სამადაშვილი და კ. სუხოიანოვი.

„ბურვესტიკი“

სპორტული საზოგადოება „ბურვესტიკის“ მეხუთე რესპუბლიკური კონფერენციაზე საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ს. გოგიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ სამომხმარებლო კოლმეურაიის, სახელმწიფო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და დაწესებულებების ფიზკულტურის კოლექტივებში ბოლო დროს საგრძობლად გაუმჯობესდა მასობრივი სპორტული მუშაობა. საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბდა 42 ახალი კოლექტივი.

მაგრამ „ბურვესტიკის“ რესპუბლიკური საბჭოს საქმიანობაში საგრძობი ნაკლოვანებებიც გაჩნდა. არ არის შესრულებული ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრების მომზადების ტვირთები, ჩამორჩენა სპორტსმენ-თანაზღვრისა და მომზადების საქმეშიც.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში არჩეულია: ს. გოგიშვილი (თავმჯდომარე), ვ. კორაშვილი, ს. ცერცვაძე, ლ. ნადირაძე, ფ. ბიგვიძე, ვ. კვიციანი და დ. ბაქრაძე.

„კრასნაია ზვებდა“

ნაბაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კრასნაია ზვებდას“ მესამე რესპუბლიკური კონფერენციაზე 1949 წელს და 1950 წლის I კვარტალში

ჩატარებულ მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. მურადხანოვი.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ გერ კიდევ რესპუბლიკური საბჭოს სათანადო დახმარებას ვერ უწყვეს ძირითად კოლექტივებს. თბილისის მუსიკალურ კომბინატში, ბათუმის სადგეჯო ფაბრიკაში, სტალინის სატყეო კომბინატში და ზოგიერთ სხვა საწარმოებში ჩამოვიდა ფიზკულტურული მუშაობა. მთელ რიგ საწარმოებში არ არის სპორტული მოედნები.

რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ამხ. მ. მურადხანოვი (თავმჯდომარე), დ. ბელიას (პირველი), გ. გელაშვილი, ნ. ოსიპოვის და გ. დამაცლავილის შემადგენლობით.

„მედიკი“

ჩატარდა საზოგადოება „მედიკის“ მეორე რესპუბლიკური კონფერენცია. საანგარიშო პერიოდში წარმოებულა მუშაობის შესახებ მოხსენება გაკეთდა „მედიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. აბრამოვა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საზოგადოებაში დაბალ დონეზეა საწავლობის სპორტული მუშაობა, რის შედეგად არ არის შესრულებული ფიზკულტურის განვითარების გეგმის ძირითადი მაჩვენებლები. მცირე რაოდენობით და არადაამაკმაყოფილებლად ტარდება რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული შეჯიბრებები; სპორტული ოსტატობის ზრდას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია საბჭოს ახალი შემადგენლობა. რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში არჩეული არიან ნ. რობაქიძე (თავმჯდომარე), შ. ეგნატაშვილი, ა. აბრამოვი, ს. გიტლინი, რ. სვანიშვილი, ვ. წილოსანი და ვ. გურგენიძე.

„მოღნიკი“

სპორტსაზოგადოება „მოღნიკის“ მეხუთე რესპუბლიკური კონფერენციაზე საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მუშაობა ჩასთვალა არადაამაკმაყოფილებლად. რესპუბლიკური საბჭოს ახალ შემადგენლობაში არჩეულია 19 კაცი. რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში არჩეული არიან ა. დოგვაძე (თავმჯდომარე), ს. დუნდუა, ვ. ლორთქიფანიძე, მ. გვარამაძე, ნ. კანდელაკი, დ. ტხონოვსკაია, ვ. ციციანი. სარევიზო კომისია შესდგება 5 კაცისაგან.

„პიშჩევიკის“ მოკივითა გარნირი

ჩატარდა „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება კრიემში. გუნდურ პირველობაში პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის კოლექტივი, მეორეზე — საქართველოს მოკივებები.

პირად პირველობაში გ. დარბაისელმა (მსუბუქი წონა), ნ. დარბაისელმა (ქვემძიმე წონა) და ს. არუთიანოვმა (ქვემსუბუქი წონა) პირველი ადგილები დაიკავეს. საქართველოს გუნდას წევრები ნ. დარბაისელი, გ. დარბაისელი, ს. არუთიანი და სხვები შეეყვანილ იქნენ „პიშჩევიკის“ ნაჯრებ გუნდში.

აშხანაგური მავრი


ამ დღეებში სოხუმის კალათხორთის მოედანზე ჩატარდა აშხანაგური შეხვედრა მოსკოვის სამხედრო-საანგარიშო ძალის გუნდსა და ქ. სოხუმის კალათხორთის ნაკრებს შორის. საინტერესო მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 46:39.

სოხუმი

ტაბრაკი და შაში

ამოცანა

გ. ნადარეიშვილი



თეთრები: მფ8, ლფ5, ეა8, ედ3, მხხ8, პპ ა7, ც6 (7)

შავები: მფ8, ეე1, პ.ც7 (3)

თეთრები იწყებენ.

შანათს აკეთებს ეა8 შვიდ სვლაში ისე, რომ მხედარი ხმ სვლას არ აკეთებს.

დამთავრდა თბილისის მოშაშეთა შეჯიბრება 1950 წლის პირველობაზე.

დაბაბული ბრძოლის შემდეგ დედაქალაქის ჩემპიონის სახელი მეორედ დასაკეთებია ვ. მანუჩიძემ, რომელმაც 14 შესაძლებელიდან 11,5 ქულა მოაგროვა.

ახალციხეში დამთავრდა გათამაშება ტაბრაკში ქალაქის პირველობაზე. ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდა 20 სპორტსმენი, გამარჯვებულს მიიღწია გ. ნიკოშვილმა (18 ქულა).

6. ფარჯანაძე

ახალციხე.



სპორტული საზოგადოების კრიტიკის ნაშაბი

კლასიკურ ჭიდაობის შეჯიბრების არსებულ წესებში შეტანილია ძველდღეი ცვლილებები: სპორტის ოსტატობა და პირველი და მეორე თანრიგის სპორტსმენთათვის შებრძოლების ხანგრძლივობა დაყვანილია 15 წუთამდე, მესამე თანრიგის წარმომადგენელთათვის, დამწყებთათვის და ჭაბუკთათვის — 10 წუთამდე.

კლასიკური ჭიდაობის შეჯიბრების წესები

დაიწყო რუსთავის 1950 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ტურნირში, რომელზეც წრებრივი სისტემით ტარდება, მონაწილეობს 12 გუნდი.

მოკლად

● ლენინგრადში ახალი საკავშირო რეორგანიზაციის საშუალო წონის შტაბისტი ი. დუგანოვმა მანორი ხელით ატაცა აჩვენა 127,5 კგ.

● 20 წლის ზანგმა სანეგალიდან (აფრიკა) ტომ პაპა გალომ საფრანგეთის რეკორდი დაამყარა გამობრუნების სიმძლავრეზე ხტომაში — 2,03 სმ.

ლ. პ. ბერიას სახელობის სპორტული კლუბის გენერალური კრების აქტები

1950-51 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას პართულ და რუსულ სექტორში

ტექნიკური ამზადების საშუალო კვალიფიკაციის ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს.

სწავლის ხანგრძლივობა — სამი წელი.

ტექნიკურში მიიღებენ ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე. ტექნიკურში შემსვლელ დამთავრებული უნდა ჰქონდეთ არასრული საშუალო სკოლის კურსი. არასრული საშუალო სკოლის ფრაილზე დამთავრებულნი უფაყოფიერ მიიღებიან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 20-25 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერა, ზეპირი) ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის; 2. რუსული ენა (წერა, ზეპირი); 3. მათემატიკა (წერა, ზეპირი); 4. სსრ კავშირის კონსტიტუცია; 5. ფიზიკური მომზადება.

იმ პირობით, რომელიც მისაღები გამოცდებს ჩააბარებენ „5“ ან „4“-ზე დადენიშნებით სტანდარტი 185 მანეთიდან 210 მანეთამდე.

ტექნიკურში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სპორტული ტრანსპორტით, რაიონიდან ჩამოსულნი კი — საერთო საცხოვრებელით.

ტექნიკურთან არსებობს სასაიდლო. განცხადებების მიღება წარმოებს 15 აგვისტომდე. მისამართი: ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6 (ლენინის სახ. სტადიონი), ტელეფონი — 3-39-22.

ლ. პ. ბერიას სახელობის „ლინაგო“ სპორტული კლუბის აქტები

„ლინაგო“ (თბილისი) — „ლინაგო“ (სივერი) ძირითადი შემადგენლობები

9 ივნისი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

10 ივნისი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

„სპარტაკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) ძირითადი შემადგენლობები

13 ივნისი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

14 ივნისი. დასაწყისი 18 ს. 30 წ.

გაკვეთილები დაბადებულნი ვაკრება

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით დიდი აპოკანები დაუხაზა სასწავლო დაწესებულებებს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სწავლების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ზოგან თითქმის არაფერი კეთდება ამ დადგენილების განსახორციელებლად. ასე ითქმის წულუკიანის რაიონის პედაგოგიურ სასწავლებელზე, სადაც დაბალი დონეზე დგას ფიზიკური აღზრდის სწავლება და სპორტულ-მასობრივი მუშაობა.

ამ პედაგოგიურ სასწავლებელში დღემდე არ შეუდგენია ფიზიკური აღზრდის წილი რაიმე სახის გეგმა. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელ ამხ. ცაგარეიშვილს წარმოადგენს არ აქვს, თუ როგორ უნდა შედგეს ახ. როგორც წესი, სპორტგრაფი მასალა ჯეგების შედგენისას წარმოადგება სემინარების მიხედვით, მაგრამ ამხ. ცა-

მ. ფულსკინის პედაგოგიურ სასწავლებელში უზამოვად მუშაობა

გარეიშვილი ამ საკითხს ფორმალურად მიუღდა. მან სემესტრების სასწავლო-სამუშაო გეგმის ნაცვლად შეადგინა კალენდარული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მასალის თანმიმდევრულ გავლას: მაგალითად, იგი ერთ მცედიანობას ანდომებს სიგრძეზე ხტომას, მეორე, მეცედიანობას — ყუშპარის ტყორცნას, მესამეს — სიმძლავრეზე ხტომას და ა. შ. ამრიგად, სპორტის თვითიველი სახის გავლა სწარმოებს ერთ გაკვეთილზე (1) და მასწავლებელი მის განმეორებას მთელი სასწავლო წლის მანძილზე აღარ ახდენს.

აღზრდის საგნის სწავლების დამახინჯება. ცხადია, გაკვეთილები მეტად დაბალ დონეზე ტარდება.

ყოფილი მდგომარეობა სასწავლებელში აგრეთვე მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის მხრივ. აქ არაფერია სპორტულ შეჯიბრებებს არ ატარებენ, არც სპორტსმენ-თანაზღვრისათა მომზადებაზე იწყებენ თავს. ასეთივე სურათია მშთ ნიშნისების მომზადების დარგშიც. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგიურმა სასწავლებელმა დროულად მიიღო ნიშნისათა მომზადების 1950 წლის გეგმა, აქ დღემდე არც ერთი ნიშნისანი არ მოუშადადებიათ.

პედაგოგიური სასწავლებლის ძირითადი ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო არაფერია ზომებს არ ღებულობს სპორტული მუშაობის ფართოდ გავლას და მასში მოსწავლეთა მასების ჩაბმისათვის.

დ. ფავლანიშვილი